

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 10

ქ. თელავი

2018 წლის 22 ოქტომბერი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე შათირიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ვასილ არაბული, გიორგი ჩაბრაშვილი, ბესიკ ქოჩიშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, ლევანი ლილუაშვილი, ზურაბ ნაცარაშვილი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე დავით დადანიძე, სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდობის კომისიის თავმჯდომარე ლევან კოჭლოშვილი, სამანდატო, საპროცედურო იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნანა ხვისტანი, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე ტიტე დარეჯანიშვილი, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი თავბერიძე, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი ზურაბ ენუქიძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ .

მომხს. ა.შათირიშვილი.

მოსმინეს: პროექტი „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ .

გიორგი თავბერიძემ განმარტა, რომ თელავის მუნიციპალიტეტს სოფელ ყარაჯალაში საკუთრებაში აქვს მიწის ნაკვეთი (ს.კ.53.10.44.054) რომელზედაც იგეგმება ახალი სასაფლაოს მოწყობა. აღნიშნული ნაკვეთის სიმცირის გამო აუცილებლობას წარმოადგენს მისი გაფართოება. ნაკვეთის გვერდით არის სამი მიწის ნაკვეთი რომლის მეპატრონენიც თანახმა არიან ტოლფასი გადაცვლის პრინციპით დათმონ ნაკვეთები სახელმწიფოს სასარგებლოდ. ამ საკითხთან დაკავშირებით სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“ მოთხოვნილი აქვს მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული სოფ. ყარაჯალაში მდებარე 361 338,0 კვ.მ. სახნავი მიწის სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემა, ნაკვეთის ღირებულება აუდიტის დასკვნის მიხედვით შეადგენს 290 000 ლარს. სსიპ „სახელმწიფო ქონების მართვის ეროვნული სააგენტო“ გამოთქვამს მზადყოფნას, რომ მოახდინოს შემდგომი სამართლებრივი ქმედებები, რომელთა შედეგად მოხდება სასაფლაოს გაფართოება.

ალექსანდრე შათირიშვილმა აღნიშნა, რომ გადაცემის შედეგად დარჩენილი ნაკვეთი დაბრუნებული უნდა იქნას მუნიციპალიტეტის საკუთრებაში.

ალექსანდრე შათირიშვილის მოსაზრებას მხარი დაუჭირეს კომისიის წევრებმა.

გადაწყვიტეს: პროექტი“ თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ წარდგენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე



ალექსანდრე შათირიშვილი